


# აჰა, მოზრქანდა დიდი ფეხბურთი!

**ეს ნანატრი დღეც დადგა. დიდმა ფეხბურთმა ჩვენს ქალაქშიც შემოაბიჯა და თან გაზაფხულის სურნელი მოიტანა. პირველმა მატჩმა, ეს მუდამ ასე ხდება, პასუხი ბევრ კითხვაზე უნდა გაგვცეს, [illegible] რომელ გუნდში რა არსებითი ცვლილებები მოხდა, [illegible] გამოიყენა დასვენებისა და მზადების პერიოდი, ვინ რა [illegible] ცხოვრობს, ვინ როგორ აპირებს თამაშს. ნამდვილ[illegible] ყველაფერზე კონკრეტული პასუხი სჭირდება.**
**პირველი მატჩი, როგორც წესი, საზეიმო ვითარებაში ტარდება ხოლმე. ამ დღეს ყველაფერი ლამაზად გვეჩვენება — მოლოდინში მყოფი მაყურებელიც და სავარჯიშოდ გამოსული გუნდებიც, თვით სტადიონიც და მინდორზე მწვანედ მოხვიხინე ბალახიც. დიახ, დიდი ფეხბურთი მოზრქანდა და თან ხალისი და სიხარული მოიტანა.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ლელო
№ 48 (9459)
10 მარტი, სამშაბათი. 1987 წ.
საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## ლიდერთა სამეულში

**თბილისი.** საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) — 9:7 (1:1, 4:2, 2:1, 2:3).

**„დინამო“ (თბილისი):** გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, კოლუაშვილი, კანდელაკი, რამიშვილი, გიორგაძე, ბალათურია, ბითაძე, ნიკოლაიშვილი, მაჰავარიანი.

**„დინამო“ (კიევი):** ზახაროვი, ზავიზიონი, სტაროსტენკო, პეტროვი, ბარკალოვი, სტეპანოვი, გალუშკო, ბელოსტოცკი, ევტუშკო, სივეცი, ბელოფასტოვი, კოვალენკო.

**კიევის** „დინამო“ უმაღლეს ლიგაში საშუალო ძალის კოლექტივად ითვლება და ამიტომ მიზანიც მოკრძალებული აქვს — ცდილობს ექვსეულში მოხვდეს, რომ ლიგის დატოვების საფრთხე არ შეექმნას, მაგრამ ამ სეზონში, როგორც სჩანს, გუნდს მიზნის მიღწევა გაუჭირდება, რადგან მისი სატურნირო მდგომარეობა არასახარბიელოა. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ კიეველთა გუნდში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს — ვეტერანებს ცვლიან ახალგაზრდები, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ რამდენიმე მათგანი პერსპექტიული წყალბურთელია და, რაც მთავარია, გუნდი დიდი მონდომებით თამაშობს.

კიეველებთან შეხვედრაში თბილისელებმა გაიმარჯვეს. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაგეგმილი გამარჯვება იყო, თუმცა, ჩვენმა წყალბურთელებმა ისე ვერ ითამაშეს,

იხ. მე-4 გვ.





## პრიზი თბილისში დარჩა

**ვისაც** ჩვენი პრიზის საკავშირო გათამაშების ფინალში, რომელშიც ყაზახეთისა და თბილისის „დინამო-1“-ის ჭაბუკი კალათბურთელები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ალმაათელი გიგანტის დენის პეტენიოვი (სიმაღლე 210 სმ) თავის ამპლუაში სურდა ენახა, ვფიქრობ, სურვილი ვერ დაიკმაყოფილა. ამის მიზეზი გახლდათ მასპინძელთა მიერ შეთავაზებული მაღალი ტემპი, რომელსაც ვერც პეტენიოვი და ვერც მისი გუნდი ვერ აჰყვა, დიახ, თბილისელებს „დინამო-1“-ის სახით დღეს ისეთი საიმედო გუნდი ჰყავთ, რომელსაც „მაღალი რეგისტრის“ ალება შეუძლია. ამაში ასპარეზობის ბოლო დღესაც თვალნათლივ დავრწმუნდით. არ გეგონოთ, რომ ამ დღეს დინამოელებს სუსტი მეტოქე ჰყავდათ.

იხ. მე-4 გვ.

## ვლადიმერ გოგოლაძის ბრწყინვალე წარმატება

**ამერიკის** შეერთებული შტატების ქალაქ ფერფაქსში გაიმართა ამ ქვეყნის თასის ღია გათამაშება ტანვარჯიშში, რომელშიც 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა იასპარეზეს.

ვაჟთა შეჯიბრებაში თავი ისახელა საბჭოთა კავშირის გუნდის წევრმა თბილისელმა ვლადიმერ გოგოლაძემ. მან მეორე ადგილი დაიკავა მრავალჭიდში (58,00 ქულა). ყველას აჯობა ბჯენით ხტომაში (9,55), ორძელზე (9,75) და ღერძზე ვარჯიშში (9,80).

## გიორგი თენაძე და კობა კურტანიძე

**როგორც** ცნობილია, მაისში საფრანგეთში ევროპის ძიუდოისტთა მორიგი ჩემპიონატი ჩატარდება. ამიტომ ყველა შეჯიბრება, რომელიც ამ ტურნირს უსწრებს წინ, ძალების თავისებურ დათვალიერებას წარმოადგენს.

ერთი ასეთი შეჯიბრება, ამ დღეებში პრაღაში მოეწყო. „განთავისუფლების თასის“ გათამაშებაში 19 ქვეყნის უძლიერესი ათლეტები მონაწილეობდნენ. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის მიხაილ ვახუნის განცხადებით ყველაზე კარგად ამ ტურნირში საბჭოთა ძიუდოისტები გამოვიდნენ. ისინი მეტოქეებს ჭიდაობის ტექნიკითაც სჯობდნენ და ფიზიკური მომზადებითაც.

და მართლაც, ჩვენმა ძიუდოისტებმა, რომლებიც მხოლოდ ვირველ ექვს წონაში ასპარეზობდნენ, ოთხი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გორელმა მოჭიდავეებმა გიორგი თენაძემ (71 კგ) და კობა კურტანიძემ (95 კგ). მათ ყველა შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგეს და პირველი ადგილები დაიკავეს. ოქროს მედლები ხვდათ წილად, აგრეთვე, სერგეი კოსმინინს (65 კგ) და ბაშირ ვარაევს (78 კგ).

86 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი კრასნოიარსკელმა ვიქტორ პოდდუბნიმ მოიპოვა. აქ ოქროს მედალი პოლონელმა ანჯეი სადეიმ არავის დაუთმო, სხვა წონებში პირველი ადგილები ფრანგმა ფილიპ პრადაიოლმა (60 კგ) და უნგრელმა ლასლო ტოლნაიმ (მძიმე) დაისაკუთრეს.



ჩვენმა საყვარელმა მსახიობებმა გასულ შაბათს ლამაზი საღამო აჩუქეს თეატრისა და ფეხბურთის თბილისელ გულშემატკივრებს. სპორტის სასახლეში მოსულმა უამრავმა მაყურებელმა მსახიობთა მიერ შესრულებული არაერთი არტისტული საფეხბურთო ეპიზოდი იხილა. სურათზე, რომელსაც აქვე გთავაზობთ, თქვენ ხედავთ რუსთაველის თეატრის მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტს გიორგი გეგეჭკორს, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. (იხ. მე-2 გვ.)

### თანაგუნდელებთან ერთად

**როგორც** ვიუწყებოდით, ხარკოვში გამართულ ჩვენი ქვეყნის და გდრ-ის იუნიორ მოცურავეთა შეჯიბრებაში თბილისელმა იგორ არტიომოვმა („განთიადი“) ყველას აჯობა 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში.

ამავე ასპარეზობაში თბილისელმა როლანდ ხვადაგიანმა („განთიადი“) 4X200 მეტრზე თავისუფალი სტილით მოცურავეთა ესტაფეტაში თანაგუნდელებთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა — პირველ ეტაპზე 1.56,49 აჩვენა, რაც სპორტის ოსტატის შედეგია.



## ვეტერანთა სახელობის

**ქვეყნის** 48 დინამოელი ჩოგბურთელი იბრძოდა მოსკოვში ამავე საზოგადოების ცნობილი სპორტსმენების, დამსახურებული ოსტატების ბორის ნოვიკოვისა და ანა დმიტრიევას ტრადიციული პრიზების მოსაპოვებლად. დიდი წარმატება ხვდათ. წილად ქართველ ჩოგბურთელებს, რომლებმაც სხვადასხვა თანრიგში მოიპოვეს მედლები.

ვაჟთა პირადი პირველობის ფინალში ირაკლი მეტრეველმა ანგარიშით 6:4, 6:2 დაამარცხა მინსკელი ი. ტიხონკი და პრიზი დაისაკუთრა. დავით კაჭარავას და დავით კვარაცხელიას „დავაში“ გადაწყდა მესამე საპრიზო ადგილის ბედიც — გაიმარჯვა პირველმა. შემდეგ კი მათ ტოლი არავის დაუდეს წყვილთა ასპარეზობაშიც და ფინალში გავიდნენ, გადამწყვეტ მატჩში კი მასპინძელ დ. სინიაკოვ-ა. ზაციორსკის დუეტს დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს (6:3, 6:4) და პირველობა დაისაკუთრეს.

### გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება

# ვებრძვით უმოძრაობას

**გვესაუბრება ბათუმის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კარლო გუგუშვილი**

ჩვენი ცხოვრების პირობები ბოლო 100 წლის განმავლობაში მკვეთრად შეიცვალა. თუ ადრე ადამიანის მიერ შრომაში დახარჯული მთელი ენერგიის 96 პროცენტი კუნთებზე მოდიოდა, დღეს ენერგიის 99 პროცენტს ადამიანის ნაცვლად მანქანები ხარჯავენ.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანმა აქტიური ცხოვრებისათვის დღეში იმ 1500 კილოკალორიის გარდა, რასაც მისი ორგანიზმი ხარჯავს, დამატებით, კიდევ ამდენი თვითონ უნდა დახარჯოს, მაგრამ დღევანდელ პირობებში, განსაკუთრებით ქალაქში, ამის გაკეთება ძნელია. ერთადერთი გამოსავალია ვარჯიში.

უნდა ვივარჯიშოთ, მაგრამ სად? მართალია, გვაქვს სპორტსკოლების ფართო ქსელი, სექციები, კლუბები, მაგრამ აქ ძირითადად ახალგაზრდები იკრიბებიან. რა ვუყოთ საშუალო და უფროსი თაობის ადამიანებს, ოფიციალურად არც ერთი სექციის წევრები რომ არ არიან, მაგრამ ვარჯიში და მოძრაობა ჰაერივით სჭირდებათ? როგორ გადავჭრათ პრობლემა, რომელიც ტექნიკის განვითარებამ და ურბანიზაციამ წამოჭრა? ქალაქის მჭიდრო განაშენიანებამ ეზოები და თავისუფალი ადგილები შეიწირა და, დიდსა და პატარას მუხლისა და მკლავის გაშლის საშუალება მოუსპო. ამიტომაა დღეს პარკის ხეივნებში და აუზებში სულ უფრო ხშირად რომ ვხვდებით სავარჯიშოდ გამოსულ ჭაღარა ადამიანებს, მაგრამ სენისგან, რომელსაც ჰიპოდინამია ჰქვია, თითო-ოროლა მოხალისის ენთუზიაზმი ვერ გვიხსნის. მას ერთიანი ფრონტით შეტევა-მკურნალობით თუ დავაღწევთ თავს.

— ამ სენს ყველა თავისებურად ებრძვის, — გვითხრა ბათუმის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა კარლო გუგუშვილმა. — ჩვენს ქალაქში რამდენიმე საბონემენტო ჯგუფია შექმნილი, რომლებშიც ათას ხუთასზე მეტი კაცია გაერთიანებული. დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩოგბურთის და ცურვის მოყვარულთა საბონემენტო ჯგუფები, რომელთა წევრები სანაპიროზე გაშენებულ „სპარტაკის“ კორტებსა და 50-მეტრიან ღია აუზში მეცადინეობენ. ეს ბაზები სამეურნეო ანგარიშზეა და შემოსავალი თითქმის მთელ პერსონალს „ინახავს“. მაგრამ როცა საქმე ხალხის ჯანმრთელობას ეხება, ეს არ არის მთავარი.

ნეტავი გაჩვენათ, როგორი ხალისით მოდიან ეს ხანში შესული ად-



ამიანები კორტებზე, სადაც 7-დან 9 საათამდე, საღამოს კი 6-დან 8-მდე მეცადინეობენ. აქ შეხვდებით სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს: მუშებს, მოსამსახურეებს, ქარხნის დირექტორებს, პარტიის რაიკომის მდივნებს.

ვინც ბოლო ორი წლის განმავლობაში ბათუმში არ ყოფილა, „სპარტაკის“ კორტებს ველარ იცნობს. მას შემდეგ, რაც პროფკავშირების სპორტნაგებობათა კომპლექსში შევიდა, ბაზამ სახე იცვალა, ნაცვლად ძველი ჯიხურისა, რომელსაც გასახდელად იყენებდნენ, აშენდა ორსართულიანი თანამედროვე შენობა აღჭურვილი საშხაპეთი, საუნათი და საექიმო კაბინეტით. დაიდგა სავარძლები და მაგიდები, რომელიც ბათუმის ბამბუკ-საავეჯო ქარხნის დირექტორისა და კორტების ხშირი სტუმრის თამაზ ხარაძის თაოსნობით საგანგებოდ ამ ბაზისთვის დამზადდა.

დილისა და საღამოს საათებში საბონემენტო ჯგუფებს ეთმობა რეკონსტრუირებული 50-მეტრიანი ღია აუზიც. ეს ბაზაც სამეურნეო ანგარიშზე გახლავთ. მომსვლელს შეუძლია მთელი დატვირთვით ვარჯიშის შემდეგ იქვე, ყოფილი ლუდხანის შენობაში გახსნილ კაფეში დაისვენოს და ცნობილი აჭარული ხაჭაპური მიირთვას. იქვე იყიდება ხილისა და ციტრუსების წვენები. ზაფხულში წვენებით მარაგდება სანაპიროზე მდებარე პატარა პავილიონები, სადაც ასეთივე ბამბუკის ავეჯი დაიდგმება მოვარჯიშეთა დასასვენებლად.

ბათუმელთა შორის დიდი მოწონებით სარგებლობს აერობიკა, ქალაქში ქალთა რამდენიმე საბონემენტო ჯგუფია გახსნილი, კერძოდ, მასწავლებელთა სახლში, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დარბაზსა და ქალაქის სპორტსკოლაში. აქვე უნდა ითქვას, რომ მენავთობეებს კვლავ დაუბრუნდებათ მწყობრიდან გამოსული და გაპარტახებული სტადიონი, რომელსაც ბევრჯერ თქვენმა გაზეთმაც დაუთმო ადგილი.

ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გაშლაში ხელს გვიწყობს ის 30 მარტივი ტიპის სპორტული ობიექტი, შარშან პარტიის საქალაქო კომიტეტისა და აღმასკომის თაოსნობით რომ აშენდა ახალდასახლებულ ტერიტორიაზე. საბინაო-საექსპლუატაციო უბნებში უკვე ჩატარდა ჯანმრთელობის ჯგუფების საქალაქო შეჯიბრებები.

ყველაზე კეთილმოწყობილია ფრენბურთის, კალათბურთის, მინიფეხბურთის, ხელბურთის მოედნებითა და მცირე ჩოგბურთის მაგიდებით აღჭურვილი № 4 საბინაო-საექსპლუატაციო უბანი. აქვე ქიმიკოსებმა (დირექტორი ბორის ფაილოძე) საჭყუმპალაო ააშენა. № 6 საბინაო-საექსპლუატაციო უბნის სიამაყეა მინიფეხბურთში თბილისის საკავშირო ტურნირის გამარჯვებული „ხიხანი“, რომლის წევრები ამ უბანს ემსახურებიან. ფეხბურთელთა გუნდის გარდა, აქ ბავშვთა და მოზრდილთა რამდენიმე გამაჯანსაღებელი ჯგუფია გახსნილი. არის მოზრდილთა ფრენბურთისა და მინიფეხბურთის სექციები.

● **მონდომებით და მხარდაჭერით ბევრის გაკეთება მოგისწრიათ, მომავალში რის გაკეთებას აპირებთ?**

— ჯერ რაც გვაქვს, ის უნდა გამოვიყენოთ უნარიანად, უნდა გავუფრთხილდეთ, პერიოდულად განვაახლოთ ბაზები, დავხვეწოთ მუშაობის ფორმები. ამაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბის შექმნა დაგვეხმარება. აი, იმ კაფეებში, აუზისა და კორტების მახლობლად რომ გავხსენით, სიამოვნებით იკრიბება დიდი და პატარა. ეს კი უკვე ბევრს ნიშნავს...

მაგრამ აქვე შევნიშნავ, რომ მარტო გაჯანსაღება არ იკმარებს. ხანში შესულთათვის შეჯიბრებებიც უნდა ეწყობოდეს. მიმაჩნია, რომ ისინი რეკორდებსაც უნდა ამყარებდნენ, რადგან რეკორდი ადამიანის შესაძლებლობათა მობილიზებას მოითხოვს, იგი წინსვლაა, რისკენაც ყოველი ჩვენგანი უნდა ისწრაფოდეს.

**ჩაიწერა უშანგი ჭიჭინაძემ.**



წინა პლანზე არიან ოთარ მეღვინეთუხუცესი და გურანდა გაბუნია.

# პელე, მარადონა და სხვა ქართველი ფეხბურთელები

— თქვენი გვარი?
— მარადონა!
— თქვენი?
— მარადონა!.. მარადონა!..

თბილისის სპორტის სასახლის არენაზე იდგა რუსთაველის სახელობის თეატრის გუნდი — გიორგი გეგეჭკორი (მოთამაშე-მწვრთნელი), სოსო ლალიძე, ავთანდილ მახარაძე, კახი კავსაძე, ნოდარ მარგველაშვილი, ჯემალ ღაღანიძე და ბორის წიფურია. რა თქმა უნდა, ისინი ყველამ იცნო, მაგრამ ჟურნალისტის შეკითხვაზე თითოეული ჯიუტად უპასუხებდა: „მე მარადონა ვარ!“ მოწინააღმდეგის დასაშინებლად კულისებს მიღმა კიდევ ერთი „საბრძოლო იარაღი“ მზადდებოდა — ოთარ ზაუტაშვილს შავად ღებავდნენ. მას მოედანზე პელეს როლი უნდა შეესრულებინა. ხოლო კუთხეში დაგრაგნილი პლაკატი იდო არშინიანი ასოებით: „მარჯანიშვილელებო, გვაპატიეთ, უნდა მოგიგოთ!“

კიდევ კარგი, პლაკატი არ გაშალეს! როდესაც ორიოდე წუთში მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრებს შორის „საუკუნის მატჩი“ დაიწყო, ცხადი გახდა, გამარჯვება ვისაც დარჩებოდა. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ გამარჯვებული გუნდის (მარჯანიშვილის თეატრის) შემადგენლობა უფრო ახალგაზრდული გახლდათ. თუმცა, ორმხრივი მოლაპარაკებით ვეტერანთა თამაშისთვის დრო არ გამოუყვიათ, ორივე გუნდი ერთ ფორმულირებაზე შეთანხმდა: „ვეტერანები ითამაშებდნენ იმდენს, რამდენსაც გაძლებდნენ“. „გამძლეობა“ რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობებს მეტი აღმოაჩნდათ, სასტარტო შემადგენლობამ თითქმის მატჩის ბოლომდე ითამაშა და... ეს შედეგსაც დაეტყო.

გაგაცნობთ გამარჯვებულ გუნდს (მომყავს გუნდის მიერ საორგანიზაციო კომიტეტში წარმოდგენილი ტექსტი): „უცხოეთში მოგზაურობით დაუხურდავებელი, რომლის ძირითადი საგასტროლო მარშრუტია სკრა—აგარა—ქარელი—გორი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის ფეხბურთელები: ზურაბ ლაფერაძე (წონა 130 კგ), ლეო ანთაძე, თენგიზ მაისურაძე, ირაკლი უჩანეიშვილი, გივი ბერიკაშვილი, ნოდარ მგალობლიშვილი, გივი ჩუგუაშვილი და გივი ციცქიშვილი“.



მოედანზე ნაპოლეონი.

როდესაც თბილისის საპატიო სტუმარმა ნაპოლეონ ბონაპარტემ (ტარიელ საყვარელიძემ) ბურთი თამაშში შეიყვანა, მარჯანიშვილელები შეტევაზე გადავიდნენ. მათ წინ მიუძღოდა უცვლელი კაპიტანი ჯემალ მონიავა. მას თეატრშიც ხშირად უხდებოდა ჭიდაობა და ფარიკაობა, ცეცხლმოკიდებული ჯავშნოსნიდან გადმოხტომა (16 დუბლი კინოფილმში „ცხელი დღეები ქაბულში“), ერთხელაც მშობლიური თეატრის სპექტაკლ „მადამ სანჟენში“, როდესაც იგი, ჩვეულებრივ, აივნიდან თოკით ეშვებოდა, მოულოდნელად დაეშვა და მისმა პარტნიორმა, ნაცვლად იმისა, რომ ეკითხა: „დაჭრილი ხართ?“ შეჰყვირა: „ცოცხალი ხარ?“

ცოცხალია და მერე როგორ! მარჯანიშვილელთა გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში იგებდა. დამთავრებამდე 5 წუთით ადრე, როდესაც ანგარიში იყო 3:1 მათ სასარგებლოდ, ბორის წიფურია სპორტულმა ქინმა შეიპყრო (წიფურია მსაჯმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გააძევა, მაგრამ მაყურებელთა თხოვნით კვლავ დააბრუნეს მოედანზე) და ზედიზედ ორი ბურთი გაიტანა, თუმცა პენალტები მარჯანიშვილელებმა მაინც უკეთ დაარტყეს და დაიმსახურეს გაზეთ „ლელოს“ პრიზი. საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ბორის წიფურია, საუკეთესო მეკარედ — ნოდარ მარგველაშვილი. ყველაზე ელეგანტური მოთამაშის პრიზი დაიმსახურა კახი კავსაძემ, ხანდაზმული მოთა-



ბორის წიფურია.



ვის გულშემატკივრობს დოდო ჭიჭინაძე?

მაშისა — გიორგი გეგეჭკორმა. პერსპექტიული მოთამაშის პრიზი მიენიჭა გივი ბერიკაშვილს (ამბობენ, იგი თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებმაც შეამჩნიესო). მატჩს იუმორით უძღვებოდა ჯამლეტ ხუხაშვილი.

მატჩის შემდეგ გულშემატკივრებმა შეჯიბრების ორგანიზატორს (გაზეთ „ლელოს რედაქციას) მიმართეს პრაქტიკული წინადადებებით შემდგომში „საუკუნის მატჩის“ გამართვის თაობაზე:

1. საჭიროა მატჩები ტრადიციული გახდეს (ჩატარდეს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ);
2. შეხვედრის თეატრალიზებული ნაწილი გაგრძელდეს შესვენებისა და თამაშის დამთავრების შემდეგ;
3. მატჩი „დინამოს“ სტადიონზე ჩატარდეს და ტელევიზიითაც გადაიცეს;
4. ჟურნალისტებმა წამოაყენეს წინადადება, მოეწყოს მატჩი თბილისის თეატრების ნაკრებსა და იმ ჟურნალისტებს შორის, ვინც ფეხბურთის თემას აშუქებს;
5. გადასაწყვეტია, რას მიეცეს მატჩში უპირატესობა — სპორტს თუ თეატრს. თუკი სპორტს მივცემთ უპირატესობას, მაშინ ვეტერანებმა მოედანზე ნაკლები დრო უნდა დაჰყონ. ამაზე წინასწარ შეთანხმებაა საჭირო.

არც ერთ წინადადებაში შეუძლებელი არაფერია. სპეციალისტები ითათბირებენ და გადაწყვეტილებასაც მიიღებენ. ხოლო ჩვენ, ქალებს, ისღა დაგვრჩენია დავამატოთ, რომ ეს მატჩი ჩვენთვის მშვენიერი სარვამარტო საჩუქარი იყო.

**პეპი ბოჭორიშვილი.**

**„ლელოს“ რედაქცია მადლობას უხდის რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრების ხელმძღვანელებს, სპორტის სასახლის დირექციას, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს კოტე მახარაძეს, გუნდების კაპიტნებს სოსო ლალიძესა და ჯემალ მონიავას ამ უაღრესად საინტერესო საფეხბურთო მატჩის ჩატარებაში ხელშეწყობისათვის.**

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

## „გაპარული“ წყალი და სითბო“

**პასუხი, რომელიც კონტროლზეა**

**1986 წლის 14 დეკემბრის „ლელოში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით „გაპარული“ წყალი და სითბო“, რომელშიც საუბარი იყო ქუთაისში ახლად აგებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საცურაო აუზების სავალალო მდგომარეობაზე. წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.**

**„ლელოს“ კრიტიკული გამოსვლის შესახებ იმსჯელა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომამ. სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად მე-4 სამშენებლო ტრესტის მე-4 სამმართველო, სახლმშენებელი კომბინატი, აღმასკომის კაპიტალური მშენებლობისა და თბომეურნეობის სამმართველოები სპეციალურად დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით აწარმოებენ სამუშაოებს, რომელთა დამთავრება გათვალისწინებულია 1987 წლის პირველი კვარტლის ბოლოსათვის.**

**დ. წერეთელი,**
**ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.**

**მოკლედ**

**გაიმართა** „კოლმეურნის“ ახმეტის რაისაბჭოს პირველობა შაშში.

17,5 ქულით I ადგილზე გავიდა ახმეტის საკონსერვო ქარხნის ფიზკულტურელთა კოლექტივი, 16 ქულით მეორე იყო ახმეტის ბიოქიმიური ქარხნის გუნდი, მესამე ადგილი მატნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

პირად პირველობაში 8-დან 7,5 ქულით ნოდარ მარგოშვილმა გაიმარჯვა. რაიონის მრავალგზის ჩემპიონი ვალიკო პირქუსაშვილი 7 ქულით II ადგილს დასჯერდა. მესამე იყო ავთო ნაცვლიშვილი — 5 ქულა.

ქალთა ტურნირში ყველას ნუნუ შათირიშვილმა აჯობა.

**ალექსანდრე პაპოშვილი,**
**„ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი.**

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

50

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘ

9 მარტი

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ, 50-Ე ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ.

**იმასთან დაკავშირებით, რომ კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა შეხვედრა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე სტამბულის „ბეშიქთაშთან“ 14 მარტისთვის გადაიდო, ლანჩხუთის „გურიისა“ და კიევის „დინამოს“ გუშინდელი მატჩი ლანჩხუთის სტადიონზე არ შემდგარა.**

გუშინ ბაქოს „ნეფთჩიმ“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „ტორპედო“. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

ცსკა თავის დახურულ სპორტკომპლექსში შეხვდა მინსკის „დინამოს“. თამაშის შედეგია 1:0 არმიელთა სასარგებლოდ.

## ᲓᲣᲑᲚᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო თამაშების სათადარიგო შემადგენლობათა კალენდარული მატჩი. თბილისის „დინამომ“ მიიღო მოსკოვის „სპარტაკი“.

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:1. დინამოელთაგან ბურთი გაიტანა ქეცბაიამ. „დინამომ“ ამ მატჩში ასეთი შემადგენლობით ითამაშა: აბუსერიძე, ფირცხალავა, თეთრაძე, ცვება, მალანია, ბიგვავა, თედეევი, ჟორდანია, გურული (ჯიშკარიანი), ფანცულაია, ქეცბაია.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘ

სსრ კავშირის გაზვლილი, 49 ჩემპიონატის ისტორიაში პირველი ადგილი სულ ათმა გუნდმა მოიპოვა:

**„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (კიევი)** ჩემპიონი იყო 12-ჯერ: 1961, 1966, 1967, 1968, 1971, 1974, 1975, 1977, 1980, 1981, 1985, 1986 წლებში.

**„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მოსკოვი)** — 11: 1936 (გაზაფხული), 1937, 1940, 1945, 1949, 1954, 1955, 1957, 1959, 1963, 1976 (გაზაფხული).

**„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ“ (მოსკოვი)** — 10: 1936 (შემოდგომა), 1938, 1939, 1952, 1953, 1956, 1958, 1962, 1969, 1979.

ᲪᲡᲙᲐ — 6: 1946, 1947, 1948, 1950, 1951, 1970.

**„ᲢᲝᲠᲞᲔᲓᲝ“ (მოსკოვი)** — 3: 1960, 1965, 1976 (შემოდგომა).

**„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი)** — 2: 1964, 1978.

**„ᲖᲐᲠᲘᲐ“ (ვოროშილოვგრადი)** — 1: 1972.

**„ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲘ“ (ერევანი)** — 1: 1973.

**„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (მინსკი)** — 1: 1982.

**„ᲓᲜᲔᲞᲠᲘ“ (დნეპროპეტროვსკი)** — 1: 1983.

**„ᲖᲔᲜᲘᲢᲘ“ (ლენინგრადი)** — 1: 1984.

# 50-Ე ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲔᲑᲘ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ** ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა იმ მსაჯთა სია, რომლებიც უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩების შეხვედრათა არბიტრები იქნებიან:

ვ. აბგოლცი (ალმა-ათა), პ. ბალიანი (ერევანი), ვ. ბუტენკო (მოსკოვი), გ. გალიკოვი (ლენინგრადი), ქ. დორონინი (მოსკოვი), ვ. ჟუკი (მინსკი), ა. კირილოვი (მოსკოვი), ვ. კუზნეცოვი (ომსკი), ვ. ლისენკო (ოდესა), ი. მილიაუსკასი (ალიტუსი), ვ. მიმინოშვილი (თბილისი), რ. რაგიმოვი (ბაქო), ი. სავჩენკო და ა. სპირინი (მოსკოვი), მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი), ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი), ა. ხორლინი (მოსკოვი), ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ-ოლა), ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი), ნ. იუროვი (ტომსკი), რ. იუშკა (ვილნიუსი).

ზემოჩამოთვლილი გამოცდილი არბიტრების გარდა მატჩების ჩატარება დაევალება ახალგაზრდა მსაჯებსაც. კერძოდ, თბილისელი არბიტრი ავთანდილ კოკაია 12 აპრილს იმსაჯებს ხარკოვის „მეტალისტისა“ და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ შეხვედრას.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚ** შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის შეხვედრები პირველი ჯგუფის გუნდებს შორის: „დინამო-2“-„იმედი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:1, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დინამო“ (გაგრა) 3:2, „სპარტაკი“ (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 0:3, „სქური“ (წალენჯიხა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „კახეთი“ (თელავი) 3:2, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (ზუგდიდი) 2:1, „კოლხეთი“ (ხობი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) — 1:2, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:2, „მადნეული“ (ბოლნისი) — „სულორი“ (ვანი) 0:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 0:0, „იმერეთი“ (ქუთაისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:2.

# ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲪᲮᲠᲐ — ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲒᲣᲪᲐᲔᲕᲘ

ნომერი ცხრა — ვლადიმერ გუცაევი...

თბილისის „დინამოს“ სტადიონის დიქტორი ათასობით გულშემატკივრისთვის ესოდენ ნაცნობი ხმით დღეს უკანასკნელად გამოაცხადებს მის გვარს და იგი წავა სარბიელიდან... ტრიბუნებზე ველარ გაიგონებთ მისი თაყვანისმცემლების გამამხნევებელ შეძახილებს: „ვოვა, ცირკი!..“, „ვოვა, ცირკი!..“ ველარ ვიხილავთ ამ შეგულიანებით ფრთაშესხმული ფორვარდის თავბრუდამხვევ „სლალომს“ მეტოქე მცველთა შორის, ველარც ფოტოკამერა აღბეჭდავს მისი ფეთქებადი, ულამაზესი ფინტებით დამშვენებული დრიბლინგით თავგზააბნეული, ნირწამხდარი მეტოქის სასოწარკვეთილ სახეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ფეხბურთის მოყვარულთათვის ვლადიმერ გუცაევის სახელთან იყო დაკავშირებული, ისტორიის კუთვნილება გახდება და ჩვენთვის სასიამოვნო მოგონებადღა დარჩება.

თბილისის „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაში პირველად 1971 წლის 2 სექტემბერს გამოჩნდა. იმ დღიდან ვლადიმერ გუცაევი ჩვენი გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ იქცა და მის ოსტატობაზე დიდად იყო დამოკიდებული ამა თუ იმ მატჩის შედეგი. მწვანე მინდორზე გატარებული 16 წლის მანძილზე ვლადიმერ გუცაევმა ორჯერ მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი, ერთხელ — ვერცხლისა, 1978 წელს კი ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალიც დაიმსახურა. გარდა ამისა, ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო თასის გათამაშებაში. ყოველივე ამას დაუმატეთ საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალიც და ნათელი გახდება, რომ ფეხბურთის ამ ჭეშმარიტ რაინდს ტიტულებით ვერ გააკვირვებ. მაგრამ მის კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი მაინც ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1980-1981 წლების გათამაშებაში გამარჯვებით მოპოვებულ მედალს უკავია! თანაც, მაშინ, 13 მაისის იმ დაუვიწყარ საღამოს, სწორედ ვლადიმერ გუცაევმა გაიტანა საპასუხო გოლი „კარლ ცაისის“ კარში; ანგარიში გაათანაბრა და კვლავ დაგვიბრუნა გამარჯვების იმედი.

მასვე ეკუთვნის „დინამოს“ ახალ სტადიონზე გატანილი პირველი გოლი... საერთოდ, გუცაევი განსაკუთრებული შედეგიანობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ იგი დაჯილდოებული იყო მნიშვნელოვან, პრინციპულ მატჩებში მეტოქის კარის აღების რაღაც გამოუცნობი უნარით.

ამ უნიჭიერეს ფეხბურთელს შეიძლება მეტისთვის მიეღწია, რომ არა მეტოქე გუნდების მცველთა უხეში თამაშით გამოწვეული ხშირი ტრავმები. ყოველ შემთხვევაში, ეჭვი არ გვეპარება, საბჭოთა კავშირის ნაკრებში იგი თერთმეტზე ბევრად მეტ მატჩს ითამაშებდა. სამწუხაროდ, დღეს კიდევ ერთხელ გვიხდება იმის აღნიშვნა, რომ გუცაევზე „მონადირე“ მცველთა „მეცადინეობით“ ამ ბრწყინვალე ოსტატმა თავისი სპორტული ბიოგრაფიის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდის დიდი ნაწილი უქმად დაკარგა.

....არიან ფეხბურთელები, რომლებსაც გულშემატკივრები არასოდეს ივიწყებენ; არ ივიწყებენ, რადგან არაერთხელ დამტკბარან თავიანთი კერპების ლამაზი, შინაარსიანი თამაშით. სწორედ ასეთი ფეხბურთელია ბრწყინვალე ქართველი გარემარბების — მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი ვლადიმერ გუცაევი!



# ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ, ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ...

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის ბოლო ნომრებში მკითხველებს გავაცანით უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატებში თბილისის „დინამოს“ მიერ ფრედ დამთავრებული, მოგებული და წაგებული მატჩები. დღეს გთავაზობთ ცხრილს, სადაც მოყვანილია ჩვენი გუნდის სარეკორდო მაჩვენებლები (როგორც საუკეთესო, ასევე ყველაზე უარესი).

| თბილისის „დინამოს“ მაჩვენებლები საკავშირო ჩემპიონატებზე | საუკეთესო შედეგი (წელი) | ყველაზე უარესი შედეგი (წელი) |
| --- | --- | --- |
| ქულათა რაოდენობა | 47 (1950, 1968) | 16 (1952, 1955) |
| გატანილი ბურთების რაოდენობა | 78 (1950) | 14 (1986 შემოდგომა) |
| საშუალოდ თითო მატჩში გატანილი ბურთები | 2,87 (1947) | 0,97 (1974) |
| გაშვებული ბურთების რაოდენობა | 9 (1986 შემოდგომა) | 55 (1958) |
| საშუალოდ თითო მატჩში გაშვებული ბურთები | 0,59 (1969) | 2,50 (1958) |
| ბურთების სხვაობა | 78-50 (+28) (1950) | 34-55 (—21) (1958) |
| გამარჯვება | 20 (1950) | 3 (1986) |
| დამარცხება | 1 (1986 შემოდგომა) | 16 (1988) |
| ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებები (ერთ ჩემპიონატში) | 7 (1946) | — |
| ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებები | 8 (1940-ის ბოლო 1945-ის დასაწყ.) | — |
| ზედიზედ წაგებული მატჩები (ერთ ჩემპიონატში) | — | 5 (1958, 1985) |
| წაუგებელი მატჩების სერია (ერთ ჩემპიონატში) | 18 (1962) | — |
| წაუგებელი მატჩების სერია | 23 (1968-ის ბოლო 1969-ის დასაწყისი) | — |
| მოგების გარეშე ჩატარებული მატჩების სერია | — | 10 (1945) |

ა. ᲙᲐᲠᲞᲝᲕ — ა. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡ

ᲡᲣᲞᲔᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘ

## ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ

**ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ** სუპერფინალური მატჩის VI პარტია ჯერჯერობით ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა — იგი ორჯერ გადაიდო. ბოლოს თავისი 90-ე სვლა ჩაიწერა კარპოვმა. სპეციალისტთა აზრით, მსოფლიოს ექსჩემპიონს პოზიციური უპირატესობა აქვს. პარტია ასეთ პოზიციაში გადაიდო.



# ᲥᲐᲚᲗᲐ ᲖᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ

უნგრეთის საკურორტო ქალაქ ბალატონფელდვარში გრძელდება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, ასპარეზობას ათი ტურის შემდეგ ლიდერობს ჩეხოსლოვაკიელი ელიშკა კლიმოვა — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია. უნგრელ ჟუჟა ვერეცის 7 ქულა აქვს.

## ᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲔᲜ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲡ

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ** დები მელაშვილები — ნინო და ქეთევანი აღარ ხუმრობენ. გემახსოვრებათ, შარშან, საქართველოს ქალთა 42-ე ჩემპიონატში ქეთევანმა სამტრედიელ სოფიკო ტერელაძესთან ერთად გაიმარჯვა. წლეულს კი ნინოც წარმატებით ასპარეზობს, 43-ე ჩემპიონატში დები ასპროცენტიანი შედეგებით ლიდერობენ. III ტურში ქეთევანმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა — დაამარცხა ლელა თანდაშვილი. ნინომ ალა ჩაიკოვსკაიას სძლია, ციური კობაიძემ მოუგო გიული ალიხანაშვილს, ციალა ქასოშვილმა — თამარ ხუგაშვილს. მაია ხუციშვილი თეა ლანჩავამ დაამარცხა. გადაიდო მარინე გაგნიაშვილისა და სოფიკო ნიკოლაძის პარტია. სოფიკო ტერელაძემ და ჰენრიეტა ლაგვილავამ დებიუტის გათამაშებაც ვერ მოასწრეს — საქართველოს ჩემპიონმა შეუძლოდ იგრძნო თავი და პარტია გადაიდო. ქეთევან კახიანი საქართველოს კომკავშირის ყრილობის დელეგატი იყო და ამის გამო მან გამოტოვა II და III ტურების პარტიები.

ამრიგად, სამი ტურის შემდეგ ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს ნინო მელაშვილი — 3 ქულა. 2 შეხვედრაში 2 ქულა მოაგროვა ქეთევან მელაშვილმა. 2 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს ციალა ქასოშვილს.

## ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲙᲕᲔᲗᲐ

**ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ (ტელეფონით, „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი).** საქართველოს მოჭადრაკევაჟთა I ლიგის ჩემპიონატში V ტურის პარტიები გათამაშდა. ზაზა ხოფერია დაუზავდა გიორგი გოგიჩაიშვილს, ნუკრი მანაგაძე დაამარცხა ნიკოლოზ ლეკვეიშვილმა. დავით ჩაჩიბაიას მეტოქე დავით ლობჟანიძე ავად გახდა და მათი შეხვედრა გადაიდო. იური ნეჩაევმა მოუგო არტურ თეიმურაზიანს, კახა შალამბერიძემ — ბესო ხეცურიანს, იანის პოპოვმა — ბესარიონ ლეჟავას, რომან სიჭინავამ — თამაზ ტაბატაძეს; დაზავდნენ გოჩა ტყებუჩავა და გია გოგოლაძე.

დამთავრდა გადადებული პარტიები: სიჭინავა-ლეკვეიშვილი 1:0 (I ტური), ლობჟანიძე-პოპოვი 0,5:0,5 (II ტური), გოგიჩაიშვილი-ლეკვეიშვილი 0,5:0,5 (II ტური), ლობჟანიძე — ლეკვეიშვილი 1:0 (IV ტური).

5 ტურის შემდეგ 3,5-3,5 ქულით ლიდერობენ ზაზა ხოფერია და რომან სიჭინავა. დავით ჩაჩიბაიას 3 ქულა და ერთი გამოტოვებული პარტია აქვს. 3-3 ქულა მოაგროვეს ნუკრი მანაგაძემ, გოჩა ტყებუჩავამ და იური ნეჩაევმა.

**ᲑᲔᲟᲐᲜ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ.**

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლიდერთა სამეულში

## სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

დასასრული

როგორც ველოდით — ნაკლებად მოძრაობდნენ, კიეველები კი ერთთავად თავიანთი „მეურვეებისგან“ თავის დახსნას ცდილობდნენ, მუდამ კარის დალაშქვრის ცდაში იყვნენ და ზედმეტ მოთამაშესაც კარგად იყენებდნენ. ასეთი შემთხვევა რვაჯერ ჰქონდათ და აქედან ხუთჯერ კარის აღებით დაამთავრეს იერიში. თბილისელთა მეკარეს რომ ჩინებულად არ ეთამაშა და მეტოქეთა ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი მოთამაშე, ძველი გვარდიის წარმომადგენელი ზავიზიონი მეორე პერიოდის დასაწყისში მატჩის ბოლომდე არ გაეძევებინათ სარბიელიდან, სტუმრები გაცილებით მეტ ბურთს გაიტანდნენ, მაგრამ სავარაუდოა, რომ მეტი წინააღმდეგობის შემთხვევაში თბილისელები გაცილებით უკეთ ითამაშებდნენ.

მატჩის შემდეგ ჩვენი გუნდის უფროს მწვრთნელს ირაკლი ჩხიკვაძეს ვესაუბრეთ.

— განა ამ თამაშს კომენტარი სჭირდება? თავად ნახეთ, გუნდის კაპიტანმა კუტივაძემ რა დიდებულად ითამაშა. იგი გუნდის სული და გული იყო. მასთან ერთად შევაქებ მეკარე გიორგაძესა და ზუმბულიძეს. ეს მატჩი, ფაქტიურად ამ სამმა წყალბურთელმა მოიგო — გვითხრა ჩხიკვაძემ.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს ზუმბულიძემ (4), კუტივაძემ (2), გვახარიამ და ნიკოლაიშვილმა. კიეველთაგან — პეტრიკმა, ბარკალოვმა, ევტუშოკმა, სტაროსტენკომ, კოვალენკომ, გალუშკომ და სტეპანოვმა.

• • •

**„დინამო (თბილისი) — კკფ (ბაქო) — 8:6 (1:1, 3:2, 2:2, 2:1)**

**„დინამო“: გიორგაძე, ზუმბულიძე, გვახარია, კუტივაძე, ნიკოლაიშვილი, კოლუაშვილი, კანდელაკი, გიორგაძე, მაჭავარიანი.**

**კკფ: ბალიშევი, სოლოდუნი, მასლოვსკი უშაკოვი, ბურხანოვი, სოროკინი, უზოვი ,გუდინი, კონოვალოვი, კუზმინი, ზამარაევი, ხარკოვი.**

მას შემდეგ, რაც ბაქოელთა გუნდმა პირველი წრის პირველ ტურში ალმა-ათის „დინამოსთან“ ლამის სენსაციური გამარჯვება მოიპოვა, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის წყალბურთელთა აქციები ერთიორად ამაღლდა.

ეს გუნდი, შეიძლება ითქვას, ყველასთვის გამოცანად იქცა, რადგან გუნდში სხვადასხვა რესპუბლიკებისა და ქალაქების წყალბურთელებმა მოიყარეს თავი. ბაქოელებმა განსაკუთრებით კარგი შევსება მიიღეს სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბიდან და თუ ისინი ახლა არასტაბილურად თამაშობენ, ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ მეზღვაურთა გუნდის წევრები ერთმანეთთან შეთამაშებულები არ არიან.

ბაქოელ მეზღვაურებთან შეხვედრაში თბილისელთა მთავარი ამოცანა სოლოდუნის ნეიტრალიზება იყო. სოლოდუნი ბაქოელთა საუკეთესო ბომბარდირია. თბილისში, ჩვენს დინამოელებთან შეხვედრამდე, მან ორ მატჩში ... 9 ბურთი გაიტანა, მაგრამ ჩვენი დინამოელების კარი ერთხელაც ვერ დალაშქრა.

ეს მატჩი თბილისელებმა ფაქტიურად სათადარიგო მოთამაშეთა გამოუყენებლად ჩაატარეს. გუნდის ხელმძღვანელობამ ამჯობინა გამოცდილი წყალბურთელები სარბიელზე ბოლომდე დაეტოვებინა. მართალია დაიღალნენ, მაგრამ ბიჭებმა ბოლომდე შეუპოვრად იბრძოლეს. ბურთები გაიტანეს: კუტივაძემ (3), ნიკოლაიშვილმა (2), ზუმბულიძემ, გიორგაძემ და კანდელაკმა, ბაქოელთაგან — ბურხანოვმა (2), გუდინმა, ზამარაევმა, მასლოვსკიმ და უშაკოვმა.

მატჩის შემდეგ სსრ კავშირის სპორტსახკომის სახელმწიფო მწვრთნელს იური ზაიცევს ვესაუბრეთ.

— თბილისელებმა ბაქოელებთან შეხვედრაში სწორად ააგეს თამაში, — გვითხრა ზაიცევმა. — დინამოელები საშუალო დისტანციიდან ბურთის კარში ტყორცნის საშუალებას არ აძლევდნენ სოლოდუნს, მასლოვსკისა და გუდინს, რომლებიც ამაში ძალზე ძლიერები არიან. თბილისელთა მთავარი კოზირი მკაცრი სათამაშო დისციპლინა იყო. თქვენი ბიჭების გამოსვლებს მოსკოვშიც ყურადღებით ვაკვირდებოდი და, შემიძლია ვთქვა, რომ ისინი წლევანდელი სეზონისათვის კარგად მომზადებულან. გუნდში თანაბარი ძალის მოთამაშეები არიან, რაც მწვრთნელებს საშუალებას აძლევს სარბიელზე სხვადასხვა შემადგენლობა გამოიყვანონ. საერთოდ, თქვენი მწვრთნელები მოთამაშეს დროულად და მიზანდასახულად ცვლიან. თბილისელ წყალბურთელთაგან, უწინარეს ყოვლისა, მეკარე გიორგაძეს შევაქებ.

კვირას თბილისში გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (კიევი) — ცსკ ვმფ — 6:7, „დინამო“ (მოსკოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — 14:6.

ამრიგად, თბილისში მოსკოვის „დინამომ“ სამივე შეხვედრა მოიგო. ორ-ორჯერ გაიმარჯვეს ცსკ ვმფ-სა და თბილისის „დინამოს“ წყალბურთელებმა.

ახლა ქართველი წყალბურთელები ლიდერთა სამეულში არიან. იმედია, ისინი ამღლობით ჩაატარებენ მესამე ტურის მატჩებსაც, რომელიც 20 მარტს დაიწყება ლვოვში, სადაც თბილისელები ადგილობრივ, ალმაათელ თანაკლუბელებსა და „მოსკვიჩს“ შეხვდებიან.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

**ხარკოვში.** 7 და 8 მარტს გაიმართა მეორე ტურის მატჩები. [illegible] ერთმა კოლექტივმა ვერ შეძლო ქულათა მაქსიმუმის აღება. ალმა-ათელები, მაგალითად, მოსკოვის უნივერსიტეტთან დამარცხდნენ, ამ უკანასკნელებს კი ლვოვის დინამოელებმა აჯობეს.

გთავაზობთ ბოლო ორი დღის ტექნიკურ შედეგებს: „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ალმა-ათა) 8:6 (3:1, 2:1, 1:3, 2:1), კჩფ (სევასტოპოლი) — „მოსკვიჩი“ 4:3 (2:1, 1:1, 0:0, 1:1), „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 10:10 (1:2, 3:1, 3:4, 3:3), „დინამო“ (ლვოვი) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) 8:7 (2:0, 3:3, 2:2, 1:2), „დინამო“ (ალმა-ათა) — კჩფ (სევასტოპოლი) 8:7 (0:2, 3:2, 2:1, 3:2), „მოსკვიჩი“ — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) 6:5 1:3, 1:0, 2:1, 2:1).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკ.) | 8 | 7 | 1 | 0 | 83-60 | 15 |
| „უნივ.“ (მოსკ.) | 8 | 6 | 0 | 2 | 78-58 | 12 |
| „დინამო“ (თბ.) | 8 | 6 | 0 | 2 | 62-56 | 12 |
| „დინამო“ (ა-ათა) | 8 | 5 | 1 | 2 | 78-64 | 11 |
| „დინ.“ (ლვოვი) | 8 | 5 | 1 | 2 | 79-78 | 11 |
| ცსკ ვმფ | 8 | 5 | 0 | 3 | 76-62 | 10 |
| „მოსკვიჩი“ | 8 | 3 | 0 | 5 | 58-62 | 6 |
| კკფ (ბაქო) | 8 | 3 | 0 | 5 | 76-82 | 6 |
| „ლოკ.“ (ხარკ.) | 8 | 2 | 1 | 5 | 50-64 | 5 |
| „დინ.“ (კიევი) | 8 | 2 | 0 | 6 | 65-75 | 4 |
| კჩფ (სევასტ.) | 8 | 2 | 0 | 6 | 49-59 | 4 |
| „ბალტიკა“ (ლენ.) | 8 | 0 | 1 | 7 | 47-81 | 1 |

## ელვა-ინფორმაცია

**კიდევ** ერთი გამარჯვება მოიპოვა თბილისელმა საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა ალექსანდრიამ სამხრეთ ინდოეთის ქალაქ მადრასში გამართულ ქალთა დიდ საერთაშორისო ტურნირში. მან 16 წლის აინურ სოფიევასთან ერთად 8,5-8,5 ქულა მოაგროვა (11-11 შესაძლებლიდან) და I-II ადგილები გაიყო. გამარჯვებულებს ერთი ქულით ჩამორჩა იუგოსლაველი დიდოსტატი მილუნკა ლაზარევიჩი.

# ორი შეხვედრაც და...

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის რამდენიმე მატჩი.

**კაუნასი.** შაბათს ადგილობრივი „ჟალგირისი“ გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს ცსკა-ს მასპინძლობდა. მოსკოველებმა ეს შეხვედრაც ძლიერად ჩაატარეს, თუმცა მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა. ცსკა-მ გაიმარჯვა — 92:78.

მეორე დღეს კაუნასელი კალათბურთელები ლენინგრადის „სპარტაკს“ შეხვდნენ. ამ მატჩის შედეგზე ბევრად იყო დამოკიდებული ითამაშებდა თუ არა „ჟალგირისი“ მთავარ სუპერფინალში. ლიტველებმა ამჯერად დიდი მონდომება და მიზანსწრაფვა გამოამჟღავნეს და გაიმარჯვეს — 75:68 (40:31).

**დონეცკი.** გასულ კვირას „შახტიორმა“ თბილისის „დინამოს“ უმასპინძლა. შეხვედრა დამთავრდა დონეცკელ კალათბურთელთა გამარჯვებით — 95:73 (48:37).

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 34 | 28 | 6 | 3222-2701 | 62 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 35 | 23 | 12 | 3077-2929 | 58 |
| „დინამო“ (თბილისი) | 35 | 20 | 15 | 2711-2871 | 55 |
| „სპარტაკი“ (ლენინგ.) | 34 | 20 | 14 | 2811-2746 | 54 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 34 | 17 | 17 | 2725-2758 | 51 |
| ვეფ (რიგა) | 34 | 13 | 21 | 2954-3095 | 47 |

თბილისის „დინამოს“ ჩასატარებელი დარჩა ორი მატჩი. 15 მარტს შინ კაუნასის „ჟალგირისს“ ეთამაშება, 18 მარტს კი — ლენინგრადში ადგილობრივ „სპარტაკს“.

# პრიზი თბილისში დარჩა

(დასასრული)

არა. იმავე პეტენიოვს, რომელიც, მართალია, ჯერ მხოლოდ 14 წლისაა, საკმაო სატურნირო გამოცდილება აქვს, მაგრამ როცა იგი დარწმუნდა, რომ ცენტრიდან მის გარღვევებს წარმატება არ ეწერა, გარემარბის ფუნქცია იკისრა, მაგრამ დინამოელები მოედნის ამ მონაკვეთზეც ძლიერები აღმოჩნდნენ, ასე რომ, ალმაათელის „მარგი ქმედების კოეფიციენტი“ თითქმის ნულამდე შემცირდა და იგი მეტ წილად სათადარიგო სკამზე იჯდა.

მასპინძელთა უპირატესობა, რა თქმა უნდა, ანგარიშშიც გამოიხატა — ისინი მთელი ტაიმის განმავლობაში ოცი ქულით იყვნენ წინ და პირველი ნახევარი ანგარიშით 53:39 მოიგეს. „დინამოს“ არც შესვენების შემდეგ დაუკარგავს უპირატესობა. გუნდმა ანგარიშით 99:76 გაიმარჯვა და მეოთხედ მოიპოვა „ლელოს“ პრიზი. გამარჯვებულებს ყველაზე მეტი ქულა გრძელიშვილმა შესძინა — 24. სტუმართა ბომბარდირი კი გრაჩოვი იყო, მის ანგარიშზეა 22 ქულა.

ფინალს წინ უსწრებდა „დინამო-2“-სა და ლიტვის ნაკრების შეხვედრა, რომელიც ბალტიისპირეთის სპორტსმენთა გამარჯვებით დამთავრდა — 103:39 (68:24). ასპარეზობაზე მესამე საპრიზო ადგილი ბელორუსიის ნაკრებს ხვდა წილად.

ტურნირზე, რომელსაც „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო ატარებს, დაწესებული იყო პრიზები. ყველაზე ნორჩი ტანმაღალი კალათბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი (გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“) გადაეცა დ. პეტენიოვს, საუკეთესო ცენტრის მოთამაშის ჯილდო (საქტელერადიო) — ლიტველ გ. ურლისს, ბომბარდირისა — დინამოელ ლ. ვაშაკიძეს („ახალგაზრდა კომუნისტი“), თავდამსხმელისა მის თანაგუნდელ ი. ბაქრაძეს („აეროფლოტის“ თბილისის სააგენტო).

მალე დინამოელები, აქვე, თბილისში, მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობაში —ჭაბუკთა საკავშირო ფინალში მიიღებენ მონაწილეობას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი არც ამჯერად გააწბილებენ გულშემატკივრებს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ „ლელოს“ პრიზის გათამაშების დღეებში კალათბურთის მოყვარულებს არ გაუნებივრებიათ ჭაბუკი სპორტსმენები — ვერ ვიტყვით, რომ დარბაზი მაყურებლებს ვერ იტევდა, მაგრამ ვინც თამაშის საყურებლად მოვიდა, არაფერი წაუგია.

**ჭ. უნგიაძე.**



**ს უ რ ა თ ზ ე: „ლელოს“ პრიზის ოთხგზის გამარჯვებული თბილისის „დინამო-1“.**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## მძლეოსნობა

**ინდიანაპოლისში** დამთავრდა მძლეოსანთა პირველი მსოფლიო ჩემპიონატი (დარბაზში), რომელშიც 90 ქვეყნის 500-ზე მეტი ათლეტი მონაწილეობდა. გათამაშდა მედლების 24 კომპლექტი — 13 ვაჟებში, 11 ქალებში. ყველაზე ბევრი ჯილდო საბჭოთა ათლეტებმა მიიღეს: 6 ოქროს, 5 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი.

სამი დღის მანძილზე გაუმჯობესდა ექვსი მსოფლიო რეკორდი, მათგან ორი საბჭოთა სპორტსმენებმა დაამყარეს: ოლგა კრიშტოპმა 3 კილომეტრზე (12.05,49), მიხაილ ენიკოვმა კი 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში (18.27,79).

პირველი მსოფლიო ჩემპიონატის „გმირად“, ერთხმად, გდრ-ის წარმომადგენელი ჰაიკე დრეჰსლერი აღიარეს. მან ორი ოქროს მედალი მოიგო 200 მეტრზე რბენასა (22,27) და სიგრძეზე ხტომაში (710 სმ).

მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა ბულგარელმა სტეფკა კოსტადინოვამაც. სიმაღლეზე ხტომაში მან 205 სანტიმეტრი დაძლია. ასევე სარეკორდო შედეგით დაამთავრა 60 მეტრზე რბენა კანადელმა ბენ ჯონსონმა — 6,41.

## რეგბი

**შაბათს** რეგბისტთა „ხუთი ერის პირველობაზე“ ორი მატჩი გაიმართა. პარიზში „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ შარშანდელი გამარჯვებული საფრანგეთისა და შოტლანდიის გუნდები. მატჩი მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა — 28:22 (18:7).

კარდიფში „არმზ ფარქსის“ ნაწვიმარ მოედანზე უელსელებმა ინგლისელებს სძლიეს — 19:12 (12:9).

ახლა გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 6 |
| შოტლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2 |
| ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 2 |
| უელსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2 |
| ინგლისი | 3 | 0 | 0 | 3 | 0 |

ამრიგად, საფრანგეთის გუნდმა უკვე მოიპოვა ჩემპიონის სახელი. მორიგ ტურში, 21 მარტს, ფრანგები ესტუმრებიან ირლანდიელებს, რომელთაც, ისევე როგორც შოტლანდია-უელსის მატჩის მონაწილეებს, ჯერ არ დაუკარგავთ პირველობის მოპოვების შანსები (შეგახსენებთ, რომ დებულების თანახმად შეიძლება პირველი ადგილი რამდენიმე გუნდმა გაიყოს).

### „სპორტპროგნოზი“: სპეციალისტთა აზრი (მე-11 ტირაჟი, 14-18 მარტი)

| წყვილები | | პროგნოზები | | |
|---|---|---|---|---|
| 1. ფეხბურთი. „დნეპრი“ — „ზენიტი“ | 14. III. | 50 | 20 | 30 |
| 2. ფეხბურთი. „შახტიორი“ — „ქაირათი“ | 14. III. | 80 | 10 | 10 |
| 3. ფეხბურთი. ცსკა — „ჟალგირისი“ | 14. III. | 40 | 40 | 20 |
| 4. ფეხბურთი. „გურია“ — „სპარტაკი“ | 14. III. | 10 | 20 | 70 |
| 5. ფეხბურთი. „ნეფთჩი“ — „მეტალისტი“ | 14. III | 40 | 40 | 20 |
| 6. ფეხბურთი. „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მინსკი) | 15. III. | 70 | 20 | 10 |
| 7. ჰოკეი. „კრ. სოვეტოვი“ — „ტორპედო“ (გორკი) | 16. III | 80 | 0 | 20 |
| 8. ჰოკეი. „დინამო“ (რიგა) — „ტრაქტორი“ (ჩელიაბინსკი) | 16. III | 100 | 0 | 0 |
| 9. ჰოკეი. „სოკოლი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 16. III | 10 | 10 | 80 |
| 10. ჰოკეი. „ტორპედო“ (იაროსლავლი)—„ტორპედო“ (უსტ-კამენოგრ.) | 14. III | 80 | 10 | 10 |
| 11. ფეხბურთი. „დინამო“ (კიევი) — „ბეშიქთაში“ (თურქეთი) | 18. III | 90 | 10 | 0 |
| 12. ფეხბურთი. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ბორდო“ (საფრანგეთი) | 18. III | 70 | 20 | 10 |
| 13. ფეხბურთი. „ანდერლეხტი“ (ბელგია) — „ბავარია“ (გფრ) | 18. III | 50 | 30 | 20 |

### „სპორტპროგნოზის“ ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა პირველი ტირაჟის შედეგები (1987 წლის 28 თებერვალი — 4 მარტი).

ტირაჟში დაიშვა 4.801.467 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (422) მოგებამ 180 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (11.146) — 19 მანეთი, 11 შედეგისა კი (86.489) — 5 მანეთი.

პირველი ტირაჟის მოგებათა გაცემა იწარმოებს 1987 წლის 24 მარტიდან 24 აპრილამდე.

### „სპორტპროგნოზი“: მე-12 ტირაჟის პროგრამა (21-24 მარტი)

| | |
|---|---|
| 1. ფეხბურთი. „ქაირათი“ — ცსკა | 21. III. |
| 2. ფეხბურთი. „ზენიტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) | 21. III. |
| 3. ფეხბურთი. „ჟალგირისი“ — „დნეპრი“ | 21. III. |
| 4. ფეხბურთი. „დინამო“ (მინსკი) — „შახტიორი“. | 21. III. |
| 5. ფეხბურთი. „სპარტაკი“ — „ნეფთჩი“ | 21. III. |
| 6. ფეხბურთი. „მეტალისტი“ — „გურია“ | 21. III. |
| 7. ფეხბურთი. „დინამო“ (კიევი) — „არარატი“ | 22. III. |
| 8. ფეხბურთი „ტორპედო“ — „დინამო“ (თბილისი) | 22. III |
| 9. ჰოკეი. „ავტომობილისტი“ (სვ.) — „იუსტალი“ (უსტ.) | 24. III. |
| 10. ჰოკეი. „ტორპედო“ (უ-კ). — „დინამო“ (ხ.) | 24. III. |
| 11. წყალბურთი. ცსკ ვმფ — „დინამო“ (ლვოვი) | 21. III. |
| 12. წყალბურთი. „დინამო“ (მოსკოვი) — „უნივერსიტეტი“ | 22. III. |
| 13. რეგბი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ფილი“ (მოსკოვი) | 22. III. |

**რ ე დ ა ქ ტ ო რ ი**
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 88488. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ., 29. უე 06815